სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2020 წლის იანვარი-დეკემბერი

შინაარსი

პროექტები 3

სახელმძღვანელოების პროექტი.....3

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.....4

ჟურნალები.....5

გარემო და საზოგადოება.....5

ახალგაზრდა მკვლევართა
ჟურნალი.....6

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში.....6

კონფერენციები.....7

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“.....7

სტუდენტთა მე-80 საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია.....8

სტუდენტთა VI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია.....9

ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე.....10

პროექტები

სახელმძღვანელოების პროექტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N:: 1/30 21.01.2020 და N:: 10/30 25.05.2020 ბრძანებების თანახმად გამოცხადდა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების შექმნის კონკურსი. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 ლარი. კონკურსის პირობების თანახმად, ახალი სახელმძღვანელოების შექმნის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 5000 ლარზე მეტი.

საკონკურსო კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით:

- თამარ დოლბაია - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი;
- თეონა მატარაძე - კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
- რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება;
- მანანა შამილიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- გიორგი გოგსაძე - პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;

კომისიამ გამარჯვებულად ცნო შემდეგი სახელმძღვანელოების პროექტები:

1. მალხაზ მაცაბერიძე-„საბჭოთა კავშირი იდეოლოგია და პოლიტიკა“

2. ვლადიმერ ჩხაიძე, იოსებ სალუქვაძე, დავით სიჭინავა და დავით სვანაძე- „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში“

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N:: 2/30, 21.01.2020 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა კონკურსი მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა შეეძლოთ ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით.
საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ამავე ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- თეონა მატარაძე - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
- მანანა შამილიშვილი - კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სასწავლო დაგრში;
- იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი;
- ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი;
- კორნელი კაკაჩია - პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება;
- თეა ვახანია - ფაკულტეტის ფინანსური კონსულტანტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების“ კონკურსის ფარგლებში შემოვიდა ხუთი საკონკურსო პროექტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N:: 2/30, 21.01.2020 ბრძანების შესაბამისად საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტებიდან დაფინანსდა პროექტი სახელწოდებით:

- „მთიანი რეგიონების ახალი სიცოცხლე:უკუმიგრაციის გამოწვევები და შესაძლებლობები ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების მაგალითზე“

  ხელმძღვანელი-ი. სალუქვაძე

ორი პროექტის ხელმძღვანელს მიეცათ გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შემდგომ განიხილება მათი დაფინანსების საკითხი.

დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებული საველე სამუშაოების განხორციელებისას, Covid-19 პანდემიის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, გამარჯვებული პროექტების მონაწილეთა შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება დროებით არის შეჩერებული.

ჟურნალები

გარემო და საზოგადოება

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი “გარემო და საზოგადოება” არის ღია ხელმისაწვდომობის, რეცენზირებადი ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვანი ელექტრონული გამოცემა, რომელიც დაფუძნებულია 2018 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოელ პარტნიორთა ძალისხმევით. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების და ბუნების განვითარების ინტერდისციპლინურ კვლევათა პოპულარიზაციას; გახდეს ცნობადი საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა; დააკავშიროს ერთმანეთთან სხვადასხვა კვლევითი მიმართულების სპეციალისტები და შესთავაზოს მათ აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის ასპარეზი.

ჟურნალში 2020 წელს შემოვიდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების 8 სტატია, რომელთა ავტორები იყვნენ როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო მკვლევარები. სტატიებმა გაიარა რეცენზირება შესაბამისი დარგის პროფესორებთან

და 2021 წლის თებერვალში გამოქვეყნდა 7 სტატია, რომელთაგან 4 სტატია არის ინგისურენოვანი და 3 სტატია ქართულენოვანი.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაარსდა "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი." ჟურნალი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და მისცეს მათ საშუალება, საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.
გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატია გადის შემოწმების რამდენიმე საფეხურს, რომელიც მოიცავს ტექნიკურ შემოწმებას, სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეფასებას და გარე რეცენზირებას. ამგვარი სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს დააგროვონ რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების გამოცდილება.

2020 წელს ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალში შემოვიდა 9 სტატია. აქედან 4 სტატიას უარი ეთქვა გამოქვეყნებულიყო წარმოდგენილი სახით. შესაბამისად ჟურნალის 2020 წლის ნომერში გამოქვეყნდა 4 სტატია, ხოლო მიმდინარეობს ერთი სტატიის რეცენზირების პროცესი.

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა.
ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან.

2020 წელს გამოიცა სტუდენტთა ჟურნალის 4 ნომერი. სულ გამოქვეყნდა როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სასწავლო საფეხურის სტუდენტების 13 სტატია. სტატიების თემატიკამ მოიცვა ყალბი ახალი ამბები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, საერთაშორისო კონფლიქტების გაშუქება, ზოგადი განათლების პოლიტიკა, აშშ-ერაყის, აშშ-ირანისა და აშშ-ჩინეთის ურთიერთობები, ევროკავშირის თავდაცვის პოლიტიკა, განათლებისა და დასაქმების ურთიერთმიმართებები.

კონფერენციები

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

25-27 ივნისს გაიმართა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა”, რომელიც მიეძღვნა ფაკულტეტის 15 წლის იუბილეს. მუშაობდა ინგლისურ და ქართულენოვანი სექციები. ქართველ მომხსენებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები პოლონეთიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან, თურქეთიდან, ბელგიიდან, რუმინეთიდან, ესპანეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა. სულ წარმოდგენილი იყო 39 მოხსენება. კონფერენციის საკვანძო მომხსენებელი იყო

მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორი სტივენ ჯონსი, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება თემაზე "Recurrent Patterns in Georgian Politics: Culture, Geography andInstitutions". დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://ssp.tsu.ge/axali/

მე-80 საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

24-25 დეკემბერს გაიმართა მე-80 საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე საქართველოში აკრედიტებული სხვა უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების სამივე საფეხურის სტუდენტებს. სულ შემოვიდა 83 აბსტრაქტი, კონფერენციისთვის კი შესაბამისი კომისიის მიერ შეირჩა 53. მოხსენებები გადანაწილდა 6 სექციაში. წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით ფაკულტეტის პროფესორებისგან დაკომპლექტებულმა კომისიამ თითოეული სექციიდან გამოავლინა გამარჯვებულები.

კომისია წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით:

- გიორგი გოგსაძე - პროფესორი
- ზურაბ დავითაშვილი- პროფესორი
- თორნიკე თურმანიძე-პროფესორი
- ალექსანდრე კუხინაიძე- პროფესორი
- რევაზ ჯორბენაძე-პროფესორი
- თეა წითლანაძე-ასოცირებული პროფესორი
- ზვიად აბაშიძე-ასოცირებული პროფესორი
- სალომე დუნდუა-ასოცირებული პროფესორი
- გიორგი კვინიკაძე-ასოცირებული პროფესორი

- ხათუნა მაისაშვილი-ასოცირებული პროფესორი
- თეონა მატარაძე-ასოცირებული პროფესორი
- დავით მაცაბერიძე-ასოცირებული პროფესორი
- ვალერიან მელიქიძე-ასოცირებული პროფესორი
- ნანული ტალახაძე-ასოცირებული პროფესორი
- ავთანდილ ტუკვაძე-ასოცირებული პროფესორი
- კახა ქეცბაია-ასოცირებული პროფესორი
- მარი წერეთელი-ასოცირებული პროფესორი
- შორენა თურქიაშვილი-ასისტენტ-პროფესორი

სტუდენტთა VI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020წლის 2-3 ივლისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა სტუდენტთა VI საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტებს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღ ოთხმოცდაექვსმა სტუდენტმა. კონფერენციაზე წარმოდგენილი 56 მოხსენება გადანაწილდა 4 სექციაში. ფაკულტეტის პროფესორებისგან დაკომპლექტებულმა კომისიამ სექციების მიხედვით გამოავლინა კონფერენციის გამარჯვებულები.

ფაკულტეტზე კომისია წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით:

- თეონა მატარაძე-ასოცირებული პროფესორი (თავმჯდომარე)
- რევაზ ჯორბენაძე-პროფესორი
- მანანა შამილიშვილი-პროფესორი
- იაგო კაჭკაჭიშვილი-პროფესორი
- ზურაბ დავითაშვილი-პროფესორი
- გიორგი გოგსაძე-პროფესორი

- თორნიკე თურმანიძე-პროფესორი
- სალომე დუნდუა-ასოცირებული პროფესორი
- ზვიად აბაშიძე-ასოცირებული პროფესორი
- გიორგი კვინიკაძე-ასოცირებული პროფესორი
- ვალერიან მელიქიძე-ასოცირებული პროფესორი
- ფიქრია ასანიშვილი-ასოცირებული პროფესორი
- დავით მაცაბერიძე-ასოცირებული პროფესორი
- ნინო ჭალაგანიძე-ასოცირებული პროფესორი
- შორენა თურქიაშვილი-ასისტენტ-პროფესორი
- თამარ ქარაია- ასისტენტ-პროფესორი

ფაკულტეტის პროფესორებისგან დაკომპლექტებულმა კომისიამ სექციების მიხედვით გამოავლინა კონფერენციის გამარჯვებულები.

ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, ასევე დოქტორანტების სემინარების, სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და დისერტაციების შემოწმებას პლაგიატზე პროგრამა „TurnItIn”-ის გამოყენებით.